



2009 წელი. 18 - 24 ივნისი

ფასი 90 თეთრი

# ახალი ტანთელეტ

№23 (457) ბაზოლის 1998 წლიდან

## არდადეგები



სტუდენტთა  
მოქმედებების  
ცენტრი  
ბვერდი 3

აივალე ინტელექტი,  
ბასლი ყველაზე  
ინტელექტუალური  
მოსწავლე  
ბვერდი 4

აღქმევა და შექმნევა  
ორიენტირებული აქტივობების  
გამოყენება გუნებისმცოდნეობაში  
და გლეხის ტექსტოლოგია  
ბვერდი 6-7

თავისუფალი და  
შემოქმედებითი  
სწავლა  
ბვერდი 8



# ჩოხოსან რაინდთა მხარდამხარ

2009 წლის 7 მაისი უჩვეულოდ დღე იყო ვარკეთილის სკოლისთვის (დირექტორი - **ლიანა მელიქიძე**) - VII კლასის მოსწავლეები ძალიან საინტერესო სტუმარს ელოდნენ. სანამ მოიხვედნენ, მის შესახებ ბევრი რამ შეიტყვეს: გამორჩევა პატრიოტული შემართებით, განსაკუთრებით უყვარს ქართული რაინდული ჩოხის ტარება, ტრადიციების მიმდევარი და პატივისცემელია; კარგი თამადა და მჭერმეტყველია; ბევრი საინტერესო მამულიშვილური საქმის წამომწყები. ინტერესს იხიც აძლიერებდა, რომ გამორჩეული სტუმარი ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ქართველ ჩოხოსან რაინდთა დასის ხელმძღვანელია, ასე რომ, ბატონ **გოგი დოლიძესთან** შეხვედრა განსაკუთრებული ზეიმად გადაიქცა.

ქართველმა რაინდმა ჩვენი მიწვევა სიხარულით მიიღო და დანიშნულ დროს, ჩოხოსან რაინდებთან - **ილია პატაშვილთან** და **არსენ გვერდტაძესთან** ერთად, გვესტუმრა. დაიწყო ზეიმი, სიტყვას ლექსი ცვლიდა, ლექსს - საგალობელი, საგალობელს - ცეკვა.

მოზარდთა გამოსვლებში კარგად ჩანდა ეროვნული ღირებულებების გააზრება, თავდადების შეგნება, უფროსი თაობისადმი მოკრძალებისა და პატივისცემის გრძობა.

*„ბრძოლით ვიკვლევდით გზას, ბრძოლით ვირჩენდით თავს, ბრძოლით ვამარცხებდით მტერს, რის მცველი და მეზარბაზტრე ქუდოსანი, ჩოხოსანი რაინდი იყო. ქუდზე კაცი გამოვიდესო, დაიძახებდა ერთი და უკლებლივ ყველა მამაკაცი ბრძოლისთვის გულანთებული მზადყოფნის გამოხატავდა... ადამიანი იმისთვის კი არ არის გაჩენილი, რომ პური ჭამოს, არამედ პურს ჭამს იმიტომ, რომ კაცურ კაცად იცხოვროს და აცხოვროს თავისი შთამომავალი. ვით მამა ზეციას, იყავ შენც სრული - აი, თავი და ბოლო კაცის ცხოვრებისა;“* „კარგი ყმობა უდიდესი პატივი იყო ოდითგანვე. კარგი ყმა სოფლისა და ქვეყნის პატრიოტი იყო.“; „კარგი ყმა საქმითაც და სიტყვითაც გამორჩეული უნდა ყოფილიყო. მას რაინდული



*ლი თვისებები უნდა ჰქონოდა. სამშობლო უნდა დაეცვა, თავი უნდა გაენირო, მისაბაძი უნდა ყოფილიყო ვაჟკაცობითა და გმირობით. სიკეთით ყველა უნდა გაეკვირებინა“* - სულგანაბულ დარბაზში ამაღლებულად გაისმოდა ეს სიტყვები. ქართულ სამოსში გამოწყობილი გოგო-ბიჭები ჩოხოსან რაინდებთან ერთად საოცრად შთამბეჭდავად გამოიყურებოდნენ.

ბატონმა გოგამ საინტერესოდ ისაუბრა ჩოხოსან რაინდთა დასის შესახებ, მოსწავლეთა შეკითხვებზე ამომწურავი პასუხები გასცა, რითაც მოხიბლა და დააინტერესა მსმენელი. მოსწავლეებმა შეიტყვეს, რომ ჩოხოსან რაინდთა დასის შექმნის იდეა უწმინდესა და უნეტარესს, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს ილია II-ს ეკუთვნის, ხოლო განხორციელება - ბატონ გოგი დოლიძეს.

მოსწავლეებმა სკოლაში ჩოხოსან რაინდთა სადროშოს ჩამოყალიბების და საქველმოქმედო თუ სამეცნიერო სამუშაოებში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს. აღსანიშნავია, რომ მსგავსი საქმიანობის გამოცდილება სკოლას უკვე აქვს.

ამ მამულიშვილური საქმით არა მარტო მოსწავლეები, არამედ ჩვენი სკოლის ყოფილი მოსწავლეებიც დაინტერესდნენ, მაგალითად, რა-

**მაზ ბექაური**, რომელსაც რაინდული სამოსი უკვე მზად აქვს. ასევე, **ვაჟა ბოძაშვილი**, რომელიც ამჟამად უკრაინაში იმყოფება სპორტული კარიერის მისაღწევად. მოსწავლეებთან ერთად დასის წევრობის სურვილი სკოლის პედაგოგებმაც გამოთქვეს.

ჩვენი სკოლის ღვანლმოსილმა პედაგოგმა **ნინო ჯობაჯამ**, რომელიც წარმოშობით ფოთიდან არის, გაიხსენა, რომ მამამისი, **გაბრიელ ჯობაჯა**, ჩოხით დადიოდა. იმდენად დიდ მოკრძალებას იჩენდა ოჯახი ამ სამოსის მიმართ, რომ ქალბატონი ნინო ახლაც სათუთად ინახავს და უვლის მამისეულ ჩოხას და ნაბადას.

მეშვიდეკლასელებმა ბატონ გოგის სიმბოლურად გადასცეს ხატი, წარწერით: *„ბატონო გოგი, თქვენ დიდებულ საქმიანობას ღვთისმშობლის ძალა და მადლი ფარავს. თქვენი მოღვაწეობა მისაბაძ მავალითად არის ქცეული მთელ საქართველოში.“*

ჩოხოსანთა სტუმრობის მეორე დღეს მოსწავლეებმა შთაბეჭდილებები გამოიხიარეს:

*„ველავდი, ღონისძიებისთვის ვემზადებოდი, მომეწონა ის, რომ ყველა ბიჭს ჩოხა ეცვა. ძალიან ლამაზი ღონისძიება გამოგვივიდა.“* - **გიორგი ბურჯანაძე**.

*„დავდე დღე ღონისძიების ჩატარების.“*



*რების. თავიდან ველავდი, მაგრამ მაინც კარგად ვთქვი ჩემი სათქმელი. ძალიან მომეწონა ბატონი გოგი, ის როგორც სერიოზულობით, მზიარულობითაც ძალიან მომეწონა.“* - **გელა ქეთელაური**.

*„ჩვენ სტუმრად გვყავდა ჩოხოსან რაინდთა დასის ხელმძღვანელი, ბატონი გოგი დოლიძე მეგობრებთან ერთად, რომელთა დახმარებითაც სკოლაში ჩოხოსანთა სადროშოს ვაყალიბებთ.“* - **ბექა კახიანი**.

*„დალი მასწავლებელმა ლამაზი და დაუვიწყარი ღონისძიება ჩაგვატარებინა. ძალიან კმაყოფილი ვარ ჩოხოსანებთან შეხვედრით.“* - **მარი ფრიდონაშვილი**.

*„ყველა ბავშვი ძალიან ლამაზად ჩაცმული იყო. ველავდი, რადგან მინდოდა ყველაფერი კარგად გამოგვესვლოდა. ჩვენი მონდომება გამოჩნდა. დალი მასწავლებელიც კმაყოფილი დარჩა.“* - **ნინო ნიკლაური**.

*„ბევრი ღონისძიება ჩატარებია დალი მასწავლებელს, მაგრამ ამ ღონისძიებაზე უკეთესი არც ერთი. შემიძლია ვთქვა, რომ ყველა კმაყოფილი დავრჩით. განსაკუთრებით მომხიბლა ჩოხოსანთა ჩაცმულობამ.“* - **სალომე საბაძე**.

*„ბიჭები ჩოხებში გამოეწყვენ, ხოლო ჩვენ, გოგონები, ქართულ*

*ტრადიციულ კაბებში. ძალიან კარგი იყო ნახევარწრეზე განლაგებული ჩვენი ჯგუფი. ღონისძიების დაწყებამდე ძალიან ველავდი. ღონისძიების შემდეგ თავს ბედნიერად ვგრძნობდი.“* - **სალომე ბექაური**.

*„2009 წლის 7 მაისი მე-7 კლასის მოსწავლეებისთვის დაუვიწყარი იყო. ჩვენ აღტაცებით ვამბობდით ლექსებს, განსაკუთრებული სულისკვეთებით წარმოვთქვით ჩოხოსანთა ფიცი, რომელშიც დიდი სიყვარული გამოვხატეთ ენის, მამულისა და სარწმუნოებისადმი.“* - **დათო ჭამელაშვილი**.

ყველა ბავშვი თავის ემოციას მიზიარებს. მსგავსი აღტაცების სიტყვები ეწერა თემურს, ქეთის, თამუნას, ლევანს, გიორგის...

სულ რამდენიმე დღეში ჩოხოსანთა დასის წევრებს ჩვენი სკოლის მოსწავლეები და მათი ოჯახები წევრები შეემატნენ. მომავალმა რაინდებმა - ძმებმა ზაქაიძეებმა: **არჩილმა** (15 წლის), **გიორგიმ** (12 წლის), **ბექამ** (7 წლის) და **სანდრომ** (3 წლის) უდიდესი სიხარული განიცადეს რაინდებად აღიარების დროს. მათ მაგალითს, მომავალში, სხვა მოსწავლეებიც მიზიარდნენ.

**დალი მაზიშვილი**  
ვარკეთილის საჯარო სკოლის პედაგოგი

# ხატვის გაკვეთილი ზალიკოსთან ერთად

კურსების საჯარო სკოლის (დირექტორი - **თამარ ზარნაძე**) აღსაზრდელებმა მთელი საქართველოს ბავშვებისთვის საყვარელ მხატვარს - **ზაალ სულაკაურს** უმასპინძლეს. სასწავლო წლის მიწურულს, მე-4 კლასის გამოცდილმა პედაგოგმა, **თინათინ გიორგაძემ** მოსწავლეებს კიდევ ერთი დაუვიწყარი დღე აჩუქა. *„ხელოვნების გაკვეთილზე ბავშვები ირმის ხატვას სწავლობდნენ, გამიჩნდა იდეა, ზაალ სულაკაური სკოლაში მოგვეწვია. მას ტელეფონით დავეუკავშირდით და ჩვენი სურვილი გავუზიარებთ. ბატონი ზაალი ჩვენს მოწვევას დათანხმდა.“* - იხსენებს ქალბატონი თინათინი. ბავშვებისთვის საყვარელმა მხატვარმა კურსების სკოლაში სტუმრობის დრო უპრობლემოდ შეარჩია.

IV კლასის მოსწავლეებმა, მასწავლებელთან ერთად, მხატვართან შეხვედრისთვის მზადება დაიწყეს. მათ მხარში ამოუდგა სკოლის დირექტორი, მასწავლებლები და, რა თქმა უნდა, მშობლებიც. მოიწვიეს მეზობელი სკოლის - სოფელ გურნის რამდენიმე მოსწავლე (პედაგოგი - **დოდო გაბადაძე**), საკლასო ოთახში დაიდგა სახატავი დაფები, შეიკურა ლურჯი წინსაფრები, მიიწვიეს ზაალ სულაკაურის ნახატების



გამოფენა. საგანგებოდ მოწყობილ საკლასო ოთახში ბატონ ზაალს არც მოსწავლეებთან კონტაქტის

დამყარება გასჭირვებია, *„ტელევიზორებთან ხომ სხედხართ და ხატავთ ჩემთან ერთად, ახლა, რადგან*

*ძალიან გინდოდათ ჩემთან შეხვედრა, თქვენს კლასში ვარ. ვხატოთ ერთად, რამდენ ხანსაც გინდათ.“* -

ჩვეული სიტობით მიმართა პატარებს და ხატვის საათიც დაიწყო. მეოთხეკლასელები და დამსწრე სტუმრები მოხიბლნენ მხატვრის უშუალოდ. ბავშვების სურვილით სტუმარმა მიკი მუსი და ზღარბი დახატა.

შემდეგ ზეიმი სკოლის სცენაზე გაგრძელდა. ბატონმა ზაალმა საჯარო ხატვის გაკვეთილიც ჩაატარა. დარბაზში ტევა აღარ იყო - ბაგაბაღის ნორჩებიც მოსულიყვნენ.

სტუმართა შორის იყვნენ ტყიბულის სამხატვრო სკოლის დირექტორი **მირზა ჭელიშვილი** და რესურსცენტრის უფროსის მოადგილე **მურმან მურუსიძე**.

დასასრულს, ბატონმა ზაალმა საქალაქე მოიმარჯვა და უზვად დაარსდა მეგობრული შარუები. კურსების საჯარო სკოლის მოსწავლეებს ეს დღე დიდხანს ემახსოვრებათ; ქალბატონი თინათინი კი, ბავშვების საყვარელ მხატვართან ერთად, კიდევ მრავალი საინტერესო ღონისძიების განხორციელებას გეგმავს.

**ნათო აბუსაძე**  
ტყიბულის რაიონის სოფელ კურსების საჯარო სკოლის პედაგოგი

# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი



## კინოფესტივალის პრეზენტაცია

2009 წლის 21-28 სექტემბერს, ბათუმში, ბათუმის ხელოვნათა სახლის "არგანი" ორგანიზებით, გაიმართება ბათუმის IV საერთაშორისო კინოფესტივალი. ფესტივალზე წარდგენილი იქნება 22 ქვეყნის 60-მდე კინონამუშევარი, ხოლო ახალგაზრდული კინოს სექციაში წარდგენილი იქნება 30 ფილმი.

17 ივნისს, სტუ-ში გაიმართა კინოფესტივალის პრეზენტაცია, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტთა ინფორმირებას და ინტერესებულ სტუდენტებს საშუალება ექნებათ, დაესწრონ ფესტივალს და მიიღონ სრული აკრედიტაცია.

სტუდენტებს, ასევე, საშუალება ექნებათ, გაიარონ პრაქტიკა. პრაქტიკის გავლის შემთხვევაში, სტუდენტებს დამადასტურებელი სერტიფიკატი მიეცემა.

## ქიმიკოსთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული ტრადიციული ღონისძიება

ქიმიკოსთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, სტუ-ში, ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტის ქალთა საბჭოს ორგანიზებით, ტრადიციული ღონისძიება ჩატარდა.

მონაწილე სტუდენტებს შორის იყვნენ ქალთა საბჭოების წარმომადგენლები სხვადასხვა კვლევითი ინსტიტუტებიდან და ქიმიკოსთა საზოგადოების ცნობილი სახეები. მოეწყო გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იყო პროფესორ ქიმიკოს ქალთა ნამუშევრები. ჩატარდა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ: სტუ-ს კაპელასთან არსებული ვაჟთა ვოკალური ანსამბლი, ხალხურ საკრავთა ჯგუფი და სახალხო არტისტი ბიძინა მახარაძე.

## საიუბილეო სამეცნიერო მსიბე

აღ. ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტში ცნობილი მეცნიერ-გეოლოგების – ნინო თათრისაძისა და გიორგი ზარბიძის – დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სამეცნიერო სესია გაიხსნა.

საიუბილეო ღონისძიების ორგანიზატორები არიან: ალექსანდრე ჯანელიძის სახ. გეოლოგიის ინსტიტუტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და საქართველოს საინჟინრო აკადემია.

სხდომა და სამეცნიერო სესია 11-12 ივნისს ჩატარდა. საიუბილეო სხდომა აღ. ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა, თ. წუნუნაძემ გახსნა.

სიტყვით გამოვიდა სტუ-ს რექტორი, საინჟინრო აკადემიის საპატიო პრეზიდენტი, პროფესორი არჩილ ფრანგიშვილი, რომელმაც აღნიშნა, რომ გეოლოგიისა და მინერალურ ნივთიერებათა კვლევის და დიაგნოსტიკის რესპუბლიკურ ცენტრს გიორგი ზარბიძის სახელი მიენიჭა.

## ტრადიციული ხელოვნების სტუდენტური ფესტივალი „ერის ხმა“

მთანინდის პარკში ჩატარდა თბილისის მერიისა და თსუ-ს მიერ ორგანიზებული ტრადიციული ხელოვნების სტუდენტური ფესტივალი „ერის ხმა“, რომელშიც სტუ-სთან ერთად მონაწილეობდნენ აგრარული, სამედიცინო და ჭავჭავაძის უნივერსიტეტების შემოქმედებითი ჯგუფები, ასევე, ბათუმისა და ქუთაისის უმაღლესი სასწავლებლების ფოლკლორული ანსამბლები.

აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებული მონონება დაიმსახურა სტუ-ს გამოსვლამ, რომელიც წარმოდგენილი იყო ქორეოგრაფიული ანსამბლით „მერანი“, ვაჟთა სახალხო კაპელითა და თეატრ-სტუდიით „მოღინახე“.

## დისტანციური სწავლების ცენტრის დაკავშირებული საკითხების განხილვა

სტუ-ს გიორგი ნიკოლაძის სახელობის მცირე სააქტო დარბაზში, დისტანციური სწავლების ცენტრის შექმნასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა გაიმართა.

შეხვედრა გახსნა სტუ-ს რექტორმა, პროფესორმა, არჩილ ფრანგიშვილმა. მან ვრცლად ისაუბრა დისტანციური სწავლების სტრუქტურაზე როგორც ევროპაში, ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებში.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ თანამედროვე ჰუმანიტარული აკადემიის (რუსეთი) რექტორი, პროფესორი მიხეილ კარპენკო და ამავე აკადემიის პრორექტორი, პროფესორი ლიუდმილა სელსკაია. მათ დისტანციური სწავლების მეთოდების პრეზენტაცია წარმოადგინეს, ვრცლად ისაუბრეს დისტანციური სწავლების მეთოდებსა და მათთან დაკავშირებული ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე.

შეხვედრას ესწრებოდნენ სტუ-ს ადმინისტრაციისა და სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები, ასევე, სტუ-ს აკადემიური პერსონალი.

შეხვედრის დასასრულს, ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს სტუ-სა და თანამედროვე ჰუმანიტარულ აკადემიას შორის.

## პრეზენტაცია

გაიმართა ინტერნეტში მოთავსებული ქართული მართლწერის შემომხების ავტომატიზებული სისტემის პრეზენტაცია.

პროგრამა წარმოადგინა ავტორმა, პროფესორმა, ლევან ჩხაიძემ.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ სტუ-ს ადმინისტრაციის წარმომადგენლები, ასევე, აკადემიური პერსონალი და სტუდენტები.



# ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სტუდენტთა მომსახურების ცენტრი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ყველაზე დიდი და მაღალრეიტინგული ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, სადაც, დაახლოებით, ოთხი ათასამდე სტუდენტი სწავლობს. ფაკულტეტის ადმინისტრაცია სისტემატურად ცდილობს, სტუდენტებისათვის სწავლისა და პრაქტიკისათვის სათანადო გარემო შექმნას. ახალი სემესტრიდან კი ადმინისტრაციას ახალი სტრუქტურული რგოლი – სტუდენტთა მომსახურების ცენტრი დაემატება.

რატომ დადგა სტუდენტთა მომსახურების ცენტრის შექმნის აუცილებლობა, ამაზე ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი გოჩა თუთბერიძე საუბრობს: „ასეთი ცენტრები თითქმის ყველა დასავლურ უნივერსიტეტებში არსებობს. ეს არის ადგილი, სადაც სტუდენტები ადგილზე მიიღებენ ყველა სახის საჭირო ინფორმაციას, რაც უნივერსიტეტში სწავლისას სასწავლო პროცესის სწორად დაგეგმვისთვის შეიძლება დასჭირდეთ“.

ცენტრი არ იქნება რთული მექანიზმი, შესაძლებელია, აქ მაღალი კურსის სტუდენტები ან მაგისტრანტები დასაქმდნენ. ცენტრში მუშაობა პრაქტიკის ნაწილი იქნება და მათ სამუშაო გამოცდილება შესძენს. სტუდენტების ჩართვას ამ პროცესში დადებითი მხარე აქვს – მათ კარგად იციან, რა სისტემატურობით, რა სახის ინფორმაცია სჭირდებათ, რა პრობლემები აქვთ.

ამ ცენტრის არსებობა ადმინისტრაციას განტვირთავს სტუდენტების ხშირი ვიზიტისგან, ელემენტარული განცხადებების განხილვისგან და ა.შ.

ეს მნიშვნელოვანი პლუსი იქნება და, ამ შემთხვევაში, ადმინისტრაცია უფრო მნიშვნელოვან საკითხებზე მოახდენს კონცენტრირებას. მეორე დიდი მნიშვნელობა, რაც შეიძლება ცენტრს ჰქონდეს, არის ის, რომ ერთ ადგილას მოიყროს თავს ყველა ინფორმაცია, ანუ გარე მომხმარებელს, რომელსაც რაიმე კავშირი აქვს უნივერსიტეტთან, საშუალება ექნება, ერთ ადგილზე მიიღოს ყველა საჭირო ინფორმაცია.

ცენტრი სტუდენტებს დახმარებას გაუწევს სასწავლო

პროცესში – მოკლე და გრძელვადიანი სასწავლო გეგმების შედგენაში, ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის გავლაში. აქ თავს მოიყროს ინფორმაცია ფაკულტეტის უცხოურ უმაღლეს სასწავლებლებთან ინდივიდუალური თანამშრომლობის, გაცვლითი პროგრამების, სტიპენდიების შესახებ. ცენტრი იმუშავებს ახალი ორმხრივი ურთიერთობების დამყარებაზე ფაკულტეტის მონათესავე უცხოურ ფაკულტეტებთან. ხელს შეუწყობს სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების მონაწილეობას გაცვლით პროგრამებში.

სტუდენტთა მომსახურების ცენტრის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია იქნება სტუდენტების დასაქმება. ცენტრში შეიქმნება სტუდენტის დასაქმებისთვის ყველა საჭირო დოკუმენტი, რაც კი შეიძლება დასჭირდეს პოტენციურ დამსაქმებელს. ინფორმაცია ხელმისაწვდომი, საჯარო და გამჭვირვალე იქნება.

გარდა ამისა, ამ ფორმით თვითონ სტუდენტებს გაუიოლებათ ურთიერთობა დამსაქმებლებთან, მათ ეცოდინებათ, ვის უნდა მიანოდონ ინფორმაცია საკუთარი თავის შესახებ, დანარჩენს კი სტუდენტთა მომსახურების ცენტრი უზრუნველყოფს.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტების დამსაქმებლები არიან: სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, კომერციული სტრუქტურები, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროები, ეროვნული ბანკი.

„ფაკულტეტი სტუდენტებს კვალიფიციურ ცოდნას აძლევს და დარგის მკვლევარებად ზრდის. ჩვენი მიზანია, აღვზარდოთ ადამიანები, რომლებიც საჯარო სამსახურებში იმსახურებენ და ზოგადად ქვეყანაში შექმნიან დარგის პოლიტიკას. მაგისტრების საუკეთესო ნაწილი, ვისაც ამის სურვილი ექნება, ფაკულტეტზე შედგაოგად დარჩება, ამით აკადემიური პერსონალის ახალგაზრდა კადრებით ჩანაცვლება მოხერხდება.“ – განაცხადა გოჩა თუთბერიძემ.

სტუდენტთა მომსახურების ცენტრი ფუნქციონირებას მომავალი სემესტრიდან დაიწყებს. ამისათვის გამოიყოფა

სპეციალური ადგილი, რომელიც გარემონტდება და სათანადოდ აღიჭურვება. „დასაწყისში ცენტრის საქმიანობა იდეალური ვერ იქნება, მაგრამ შემდეგ გამოჩნდება ის მიმართულებები, რომლებიც უნდა განვავითაროთ და დაგვეწყო. როდესაც რამეს ვაკეთებთ, ყოველთვის შეცდომებზე ვსწავლობთ, ნაკლოვანი მხარეები უნდა გავაანალიზოთ, ვეცადოთ, რაც კარგი და მნიშვნელოვანია, განვავითაროთ, და შემდეგ, გასაკეთებელს პრაქტიკა გვიჩვენებს. ვფიქრობ, იდეა და მიმართულება სწორია, დანარჩენი დროის საქმეა.“ – იმელოვნებს ბატონი გოჩა.

იმისთვის, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტმა მაღალი დონის განათლება მიიღოს და გახდეს პროფესიონალი, რომელიც ადვილად დაიმკვიდრებს ადგილს შრომით ბაზარზე, 2009-2010 სასწავლო წლიდან, ფაკულტეტზე იცვლება და იხვეწება სასწავლო გეგმები.

ახალი სასწავლო გეგმით, ბოლო – მერვე სემესტრი სტუდენტს თავისუფალი ექნება აუდიტორული მეცადინეობებისაგან, რათა მან პრაქტიკული უნარ-ჩვევები შეიძინოს. ამ სემესტრში გადავა სასწავლო პრაქტიკაც. რეალურად სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა, ეს პერიოდი დასაქმებისთვის გამოიყენოს, სამსახური სასწავლო პრაქტიკაში ჩათვალა. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტები, ახალი სასწავლო გეგმის მიხედვით, თეორიულ კურსს გაივლიან შვიდი სემესტრის განმავლობაში. ზოგადად პროგრამა ასეთ პრინციპზეა აგებული – პირველ-მეორე კურსებზე მთავარია ლექტორი, რომელიც ატარებს ლექციებს, სემინარებს, პრაქტიკულს და ა.შ შემდგომი ორი კურსი უნდა იყოს პირიქით, ამ შემთხვევაში, სტუდენტი არის წინ, მას მეტი დრო უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელი მუშაობისათვის, ნაკლები დატვირთვა – აუდიტორიებში, მეტი დამოუკიდებელი სამუშაო, მეტი პრეზენტაციები. ეს არის ფაკულტეტის ადმინისტრაციის ახალი კონცეპტუალური მიდგომა, რათა საბოლოოდ დაიხვეწოს და სრულყოფილი გახდეს სტუდენტზე ორიენტირებული, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, სასწავლო პროგრამები.

# აიმაღლე ინტელექტი, გახდი ყველაზე ინტელექტუალური მოსწავლე



ორგანიზაციის „ახალი თაობა – ქართული ხელოვნების ხვალისდელი დღე“ შექმნის იდეა რუსთაველი დაიბადა, როდესაც ქართულ-ევროპული უნივერსიტეტის სტუდენტები თავიანთი კურსელთან ფილმის გადაღების სურვილმა ჩაიყვანა. ფილმის სცენარზე მუშაობის დროს სტუდენტებს გაუჩნდათ სურვილი, შეექმნათ ორგანიზაცია, რომელიც ხელოვნებას მოემსახურებოდა და არა მარტო ხელოვნებას, თავიდან სტუდენტების სურვილი იყო ორგანიზაცია ყოფილიყო ქართულ-ევროპული უნივერსიტეტთან არსებული, მაგრამ მსჯელობის შემდეგ გადაწყდა, ორგანიზაციას თავისი მიზნებისა და სამომავლო გეგმების კანონის ფარგლებში განხორციელების იურიდიული უფლებამოსილება მიეღო.

სტუდენტებმა ორგანიზაციის შექმნის მიზნად დაისახეს ქართული ხელოვნების განვითარება და ქართული კულტურის მსოფლიო სივრცეში გაერთიანება, ეროვნული თვითშეგნების განმტკიცება, ქართული ტრადიციების აღორძინება. ორგანიზაციის – „ახალი თაობა – ქართული ხელოვნების ხვალისდელი დღე“ დამფუძნებლები არიან: **ვახტანგ ლაბაძე** (ორგანიზაციის პრეზიდენტი), **გიორგი კუკუნაშვილი** (ვიცე-პრეზიდენტი), **თენგიზ სილაგაძე** (ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი), **ცეზარ ლეპერტი** (ორგანიზაციის წევრი).

**ვახტანგ ლაბაძე**, ორგანიზაციის პრეზიდენტი: საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში ჩატარებული ბევრმა კვლევამ ცხადყო, რომ მოზარდებში ინტელექტის დონე ძალიან დაბალია. ორგანიზაციის „ახალი თაობა-ქართული ხელოვნების ხვალისდელი დღე“ წევრებმა (გიორგი როსტიაშვილი, ვლადიმერ მეტეაბიშვილი, ნათია ქორჩიაშვილი, მინელი ბზიშვილი, კახაბერ კახიაშვილი) მივიღეთ გადაწყვეტილება, საქართველოს მასშტაბით, საჯარო სკოლის მოსწავლეებს შორის, ჩაგვეტარებინა აქცია-კონკურსი „აიმაღლე ინტელექტი“.

კონკურსის მიზანი – ახალგაზრდებში ინტელექტის ამაღლება და სწრაფვა იმ მწვერვალებისკენ, რითაც ისინი გზას გაიკვლევინ ცხოვრებაში. ჩვენი ორგანიზაციის თითოეული წევრის სურვილია, მომავალი თაობა იყოს წინგერი, განათლებული, მაღალი ინტელექტისა და უნარ-ჩვევების მატარებელი, რაც მომავალში ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობის, კულტურის, ტრადიციების აღორძინების გარანტი იქნება.

კონკურსის – „აიმაღლე ინტელექტი“ – პირველი ეტაპი მისაქციელების საჯარო სკოლაში (დირექტორი – **ინგა ხუროშვილი**) ჩატარდა, კონკურსმა მოსწავლეებში დიდი დაინტერესება გამოიწვია. აღსანიშნავია კონკურსის ორგანიზებულად ჩატარებაში სკოლის დირექციისა და პედაგოგების განსაკუთრებული თანადგომა, რისთვისაც, ორგანიზაციის სახელით, დიდ მადლობას ვუხდით მისაქციელების საჯარო სკოლის დირექციას. მისაქციელში ჩვენი დაფინანსებით ჩავედით, ჩავიტანეთ პრიზები და სიგელები. კონკურსში მონაწილეობის სურვილი ოცდაოთხმა მოსწავლემ გამოთქვა, თუმცა, პირობებიდან გამომდინარე, თორმეტი მოსწავლე შევარჩიეთ. ინტელექტუალური კონკურსის საინტერესოდ წარმართა. საბოლოოდ, სამი ფინალისტი გამოვლინდა. პირველი ადგილის მფლობელი მისაქციელის საჯარო სკოლის XI<sup>ბ</sup> კლასის მოსწავლე **ჯემალ ხუროშვილი** გახდა; მეორე ადგილი X<sup>ბ</sup> კლასის მოსწავლემ, **თამთა ფიცხერაშვილმა** დაიკავა; მესამე ადგილი X<sup>ბ</sup> კლასის მოსწავლეს, **ლერი ებიბაშვილს** ხვდა წილა. პირველი ადგილის მფლობელს პრიზად გადაეცა რჩეული მწერლების კრებული – „20 საუკუნეთეს მოთხრობა“. მეორე და მესამე ადგილზე გასულ მონაწილეებს სიგელები და ხატები გადაეცით.

კონკურსის მეორე ეტაპი თბილისის 181-ე საჯარო სკოლაში (დირექტორი – **დარეჯან ქადაგიძე**) ჩატარდა. კონკურსის ორგანიზებაში, სკოლის დირექციასთან ერთად, დიდი დახმარება გაგვინია გლდანის

ნაძალადევის გამგეობამ, გამგებლის მოადგილემ **მერაბ ვაგაშვილიშვილმა** და მერიის წარმომადგენელმა 181-ე საჯარო სკოლაში **დალი ბზიშვილმა**, რისთვისაც, ორგანიზაციის სახელით, დიდ მადლობას ვუხდით. კონკურსში „აიმაღლე ინტელექტი“ პირველი ადგილი დაიკავა X<sup>ბ</sup> კლასის მოსწავლემ, **თინა კანდელაკმა**; მეორე ადგილი – IX<sup>ბ</sup> კლასის მოსწავლემ, **ნინო გაბისიანმა**; მესამე ადგილი კი წილადა ხვდა IX<sup>ბ</sup> კლასის მოსწავლეს, **მარიამ ოთარაშვილს**. მთავარი პრიზი – „20 საუკუნეთეს მოთხრობა“ – სკოლის სახელით, პირველ ადგილზე გასული გადაეცა, ხოლო ორგანიზაციის სახელით პირველი, მეორე და მესამე ადგილების მფლობელებს სიგელები და ხატები გადაეცით. ჩვენი მიზანია, საზოგადოებას რეალურად დავანახოთ მოზარდების განათლების დონე, რათა დროულად იქნეს მიღებული შესაბამისი ზომები იმ პრობლემის დასაძლევად, რომლის წინაშეც მომავალი თაობა დგას.

ჩვენი სურვილია, რაც შეიძლება ბევრი სკოლა გახდეს კონკურსის „აიმაღლე ინტელექტი“ მონაწილეს მალე, კონკურსი სისტემატურ ხასიათს მიიღებს და მოვიცათ როგორც თბილისის, ასევე რაიონის სკოლებსაც. საბოლოოდ, ჩავატარებთ სუპერფინალს, რომელშიც ჩვენ მიერ გამოვლენილი 12 ინტელექტუალური მიიღებს მონაწილეობას.

**თენგიზ სილაგაძე**, ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი: კონკურსი „აიმაღლე ინტელექტი“ ოთხ ეტაპად ტარდება. კონკურსანტებს ჯგუფებად ვანაწილებთ, თითოეული ჯგუფი ექვსი მოსწავლისგან შედგება, ჩვენ მიერ დასმულ 10 შეკითხვაზე მოსაფიქრებლად 40 წამი ეძლევათ. ვინც ყველაზე მეტ სწორ პასუხს მოაგროვებს, ფინალში გადის, საბოლოოდ, ოთხი ფინალისტიდან სამი იკავებს საპრიზო ადგილს. რაც შეეხება კითხვებს, კონკურსისთვის სპეციალურად ვარჩევთ ყველა სფეროდან (ისტორია, გეოგრაფია, კლასიკარულ ლიტერა-

ტურა, ხელოვნება, კულტურა, სპორტი, ტერმინთა განმარტება). აქცია-კონკურსმა გვიჩვენა, რომ მოზარდებში ინტელექტის დონე საკმაოდ დაბალია გეოგრაფიაში, ისტორიაში, კლასიკარულ ლიტერატურაში, მათ არ იციან ტერმინთა მნიშვნელობა და ა. შ. მაგალითად, კითხვას, რომელ წელს მოხდა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსია, ვერც ერთმა კონკურსანტმა ვერ გასცა სწორი პასუხი. მეტიც, ერთ-ერთმა მოსწავლემ ისიც კი იკითხა, რას ნიშნავს ანექსიაო; კითხვაზე, სადაური იყო წარმოშობით ჯორჯ ბალანჩინი, იყო პასუხი: იტალიელი, სომეხი ა. შ. აღსანიშნავია, რომ მოსწავლეებმა არ იციან, თითქმის, არც ერთი ქვეყნის დედაქალაქი; კითხვაზე, ვინ არის მარჯანიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, კონკურსანტებმა დაასახელეს, ლევან სტურუა; სამწუხაროდ, ჩვენ მიერ გამოკითხულ მოსწავლეთა უმეტესობას ნანახი არ აქვს ქართული ფილმები, მაგალითად, კითხვაზე, ვინ ასრულებს მამაკაცის მთავარ როლს ფილმში „ვერის უბნის მელოდიები“ ვერც ერთმა კონკურსანტმა ვერ გაიხსენა ბუბა კიკაბიძის სახელი, ასევე, ვერც ერთმა მოსწავლემ ვერ გასცა სწორი პასუხი კითხვას, ვინ ასრულებს მელიტონის როლს ფილმში „თოჯინები იცინიან“; აღსანიშნავია, რომ კონკურსანტები, სამწუხაროდ, ვერც სკოლის პროგრამას ფლობენ საფუძვლიანად. მაგალითად პოემა „განდევილიდან“ ვერც ერთმა მოსწავლე ვერ გაიხსენა სიტყვა, რომლითაც მწიგნობარს თავისი ცხოვრება გამოხატა.

როცა კონკურსანტებს კითხვაზე სწორი პასუხი არ აქვთ, არა მარტო ვუბნებით სწორ პასუხს, არამედ ვუყვებით მოკლე ისტორიას, ერთგვარ ექსკურსს ვუტარებთ, ანალიზს ვუკეთებთ თითოეულ შეკითხვას. მაგალითად, რა გამოიგონა მორზემ, ამ კითხვაზე ჩვენ დეტალურად დავფიქრდა პასუხის გაცემა. უმეტეს შემთხვევაში, მოსწავლეები გვეკითხებოდნენ, თუ ვინ იყო მორზე, უფრო რთული გასაგები გახდა მათთვის სიტყვა „კოდუ-

რის“ მნიშვნელობა; კითხვაზე, ვინ იყო პირველი კოსმონავტი, რომელმაც ფეხი დადგა მთვარეზე, ყველა მოსწავლეს ენერა – იური გაგარინი, ავუსხენით, რომ იური გაგარინი პირველი გაფრინდა კოსმოსში, ხოლო მთვარეზე პირველმა ნილ ამსტრონგმა დადგა ფეხი და ამერიკის დროშა აიტანა.

**ინგა ხუროშვილი**, მისაქციელის საჯარო სკოლის დირექტორი: მსგავსი ინტელექტუალური კონკურსები სკოლებში ხშირად უნდა იმართებოდეს. მოსწავლეებისთვის მხოლოდ შიდა სასკოლო ტურების ჩატარება საკმარისი არ არის. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ორგანიზაციის „ახალი თაობა – ქართული ხელოვნების ხვალისდელი დღე“ წევრებს, რომლებმაც ორგანიზება გაუწიეს კონკურსის „აიმაღლე ინტელექტი“ ჩატარებას. მსგავს კონკურსებში მონაწილეობის მიღება მოსწავლეებს თავისუფალ აზროვნებას აჩვენებს, ისინი მაქსიმალურად ცდილობენ, გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები. ისეთმა ბავშვებმა გამოიჩინეს თავი, ვისგანაც მაღალ შედეგებს ნაკლებად ველოდით. კარგი იქნება, ინტელექტუალურ კონკურსებს სისტემატური ხასიათი თუ მიეცემა, რაც მოზარდებში ინტელექტის ამაღლებას შეუწყობს ხელს.

**ჯემალ ხუროშვილი**, მისაქციელის საჯარო სკოლის XI<sup>ბ</sup> კლასის მოსწავლე: ინტელექტუალურ კონკურსში მონაწილეობა ძალიან მომეწონა, საუკეთესო საშუალება მომეცა, საკუთარი შესაძლებლობები გამოვვლინა, შეკითხვები საკმაოდ რთული იყო, თუმცა გამარჯვების მოპოვება მაინც შეძელი. დიდი მადლობა კონკურსის ორგანიზატორებს, სკოლის დირექციას. სუპერფინალისთვის განსაკუთრებულად მოვემზადები, ვეცდები, იქაც გამარჯვება მოვიპოვო.

მამა ყიფინა

**კონკურსში „აიმაღლე ინტელექტი“ მონაწილეობის მსურველები, დაუკავშირდით ორგანიზაციას „ახალი თაობა – ქართული ხელოვნების ხვალისდელი დღე“: 858 36 36 95, 898 63 87 69.**



ათონიკა

აღქმაზე და შექმნაზე ორიენტირებული აქტივობების გამოყენება ბუნებისმცოდნეობაში და ზღუდის ტაქსონომია

ვ. ესვანჯიას სახელობის იტალიური სკოლა „ცისკრის“ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სასკოლო ცენტრში, სკოლის პარტნიორმა ორგანიზაციამ, „ლიბო MNT“-მ, ჩაატარა სემინარი თემაზე: „განვითარებისა და სწავლების თეორიები“.

ვადგინოთ პრაქტიკოსი პედაგოგების მიერ მომზადებული მასალების შემოთავაზებას.

ბლუმის საზოგადოებრივი უნარების განვითარების ტაქსონომია შეიქმნა სპეციალურად განათლების მიზნებისათვის.

ზოგადად, ტაქსონომია არის კლასიფიკაციის პრინციპების ნაკრები ან სტრუქტურა. ბლუმის (1956) მიხედვით, აზროვნების ან შემეცნების უნარი ექვს დონედ შეიძლება დაიყოს. ეს დონეებია: ცოდნა, გაგება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი და შეფასება.

აზროვნების ეს დონეები საფეხურებად არის განლაგებული, სადაც ყოველი მომდევნო დონე უფრო რთულდება და მოიცავს ერთ ან რამდენიმე წინა დონეს.

ეს დონეები, თავის მხრივ, ქვედა და ზედა დონეებად იყოფა:

Table with 2 columns: ქვედა დონე (Lower level) and ზედა დონე (Upper level). Rows include ცოდნა (Knowledge), გაგება (Understanding), გამოყენება (Application), ანალიზი (Analysis), სინთეზი (Synthesis), შეფასება (Evaluation).

ბლუმის ტაქსონომია არის საშუალება, რომელიც მასწავლებელს ეხმარება, სასწავლო მიზნებში მოცემული ზმნები (ოპერაციები) დააღვაროს აზროვნების დონეების შესაბამისად - იერარქიულად, დაბალიდან მაღალი დონისაკენ. ყველა ეს ოპერაცია ავითარებს საზოგადოებრივ უნარ-ჩვევებს.

წარმოგიდგინო ბლუმის დონეებს შესაბამისი ზმნებით

Table mapping Bloom's levels to verbs. Columns: დონე (Level), ზმნები (Verbs). Rows: ცოდნა (Knowledge), გაგება (Understanding), გამოყენება (Application), ანალიზი (Analysis), სინთეზი (Synthesis), შეფასება (Evaluation).

უნარი არის ადამიანის თანდაყოლილი (ფიზიკური და ფსიქიკური) შესაძლებლობა, პოტენციალი. თუ ადამიანი აწარმოებს სათანადო მოქმედებას - მას თანდაყოლილი უნარიდან გარკვეული უნარ-ჩვევა განუვითარდება, ხოლო თუ მას არ ექნება სათანადო პირობები, თუ არ ისწავლის, არ იმუშავებს სათანადო მიმართულებით, მაშინ მას ეს უნარ-ჩვევა აღარ განუვითარდება.

უნარ-ჩვევების განვითარება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად. იმისათვის, რომ მოსწავლე თავისუფლად იყენებდეს აზროვნების ქვედა დონეებს აზროვნების ზედა დონეზე, საჭიროა შესაბამისად იყოს გავარჯიშებული. ეს კი გულისხმობს უნარ-ჩვევების ეტაპობრივ განვითარებას. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა მოსწავლემ სამი ფაზა გაიაროს. უნარ-ჩვევის ათვისების ფაზებია:

- 1. წვდომა;
2. ათვისება-გავარჯიშება;
3. ავტომატიზაცია.

I. წვდომის ფაზა

წვდომის ფაზაში ხდება შესასწავლი ოპერაციის გაცნობა-გაგება და მისი განხორციელების მექანიზმის გაცნობიერება. ამ პროცესის დროს ყურადღება და ძალისხმევა წარმართება ახალი ოპერაციის წვდომაზე, შეცნობასა და გაგება-გარკვევაზე.

II. ათვისება-გავარჯიშება

ათვისება გავარჯიშების ფაზაში ხდება პირველ ეტაპზე გაგებული ოპერაციის/ინფორმაციის გამოყენება პროცედურულად. გავარჯიშება ხორციელდება გარკვეული მოცემულობის ფარგლებში. ყურადღება და ძალისხმევა მიმართულია ოპერაციის ათვისებაზე, მოსწავლეს ამ დროს არ შეუძლია კომპლექსური დავალების შესრულება, რომელიც სხვა ინფორმაციისა და ოპერაციის გამოყენებასაც მოითხოვს.

III. ავტომატიზაციის, ანუ დაუფლების ფაზა

ავტომატიზაციის ფაზაში ოპერაცია სრულდება სწრაფად, თავისუფლად, დაძაბულობის გარეშე. მოსწავლე აღარ ფიქრობს წესებსა და კანონებზე. მისი ძალისხმევა მიმართულია უნარ-ჩვევის (ცოდნის) კონტექსტის შესაბამისად გამოყენებაზე.

მსურს ჩემი პრაქტიკული გამოცდილება გაგიზიაროთ ამ საკითხებთან დაკავშირებით: ხშირია შემთხვევა სასწავლო პროცესში, როდესაც კომპლექსური ხასიათის დავალებასთან დაკავშირებით გვაქვს ორმაგი მიზანი: ერთი - აღქმა-გაგებაზე მიმართული და მეორე - შექმნა-წარმოებაზე მიმართული.

- ბუნებისმცოდნეობაში ეს შეიძლება იყოს, ერთი მხრივ, რუკის მიხედვით რაღაც საკითხზე მსჯელობა და, მეორე მხრივ, ამა თუ იმ ტიპის რუკის დასრულება-შედგენა.
მათემატიკაში ეს შეიძლება იყოს, ერთი მხრივ, კომპლექსური მოდელის გააზრება და, მეორე მხრივ, იმავე ტიპის მოდელის შექმნა;
უცხო ენაში ეს შეიძლება იყოს ტექსტის გაგება-გააზრება და, მეორე მხრივ, იმავე ტიპის ტექსტის შედგენა,
სახვით ხელოვნებაში ეს შეიძლება იყოს გარკვეული ჟანრის ნახატზე მსჯელობა და, მეორე მხრივ, ამავე ჟანრის ნახატის შექმნა

როგორ უზრუნველყოთ თანამიმდევრული და წარმატებული სვლა აღქმა-გაგებიდან შექმნამდე?

- ამისათვის აუცილებელია:
1. ზუსტად განვსაზღვროთ, თუ რა პროდუქტის მიღება გვინდა მესამე ფაზაში.
2. განვსაზღვროთ:
ამ პროდუქტის შექმნა რა ცოდნას და უნარ-ჩვევებს ითხოვს მოსწავლისაგან?
ამისათვის, დაშალეთ კომპლექსური ხასიათის მიზანი შემადგენელ მარტივ ნაწილებად/ქვემიზნებად და ამაზე შევადგინოთ შინაარსის რუკა, რათა მკაფიოდ დავადგინოთ მოსწავლეთა საჭიროებები ამ პროდუქტის შექმნასთან მიმართებით.
3. მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე, განვსაზღვროთ სასწავლო მიზნები და შევადგინოთ შესაბამისი აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფენ აუცილებელი უნარ-ჩვევების განვითარებას პირველ და მეორე ფაზაში. ამით მოვამზადებთ მოსწავლეს იმისთვის, რომ მან შექმნილი უნარ-ჩვევების სინთეზურად გამოყენება შეძლოს III ფაზაში.
4. აქტივობების შედგენისას უნდა გვახსოვდეს, რომ აღქმა-გაგების უნარის განვითარება ვერ უზრუნველყოფს შექმნა-წარმოების უნარის განვითარებას.
როდესაც სასწავლო მასალაში ცოდნის ათვისების II ფაზაში მხოლოდ აღქმა-გაგებაზე ორიენტირებულ საგარჯიშოებს ვთავაზობ მოსწავლეებს და ისე „გადაგვყავს“ ფლობის III ფაზაში, რომ მას მანამდე არ ვანვლით შექმნა-წარმოებაზე ორიენტირებულ საგარჯიშოებს. ეს პრობლემებს წარმოშობს:

მოსწავლე მოუშვადებელი სვლა კომპლექსური ხასიათის დავალებაზე.

ეს პრობლემები რომ არ წარმოიშვას, II ფაზაში ვგეგმავ როგორც აღქმა-გაგებაზე, ისე შექმნა-წარმოებაზე მიმართულ საგარჯიშოებს:
გთავაზობთ საგარჯიშოების თანმიმდევრობას ჩემი პედაგოგიური გამოცდილებიდან თემაზე - ჰორიზონტის მხარეები. ისინი შეტანილია IV კლასის ბუნებისმცოდნეობის სახელმძღვანელოში:

საგარჯიშო №1
Diagram of a circle with axes labeled with letters: ა (up), ბ (down), გ (left), დ (right). Legend: ა - აღმოსავლეთი, ბ - დასავლეთი, გ - სამხრეთი, დ - ჩრდილოეთი.


კომენტარი: ამ სქემის მიხედვით მოსწავლეებს ვაცნობ ჰორიზონტის ძირითად მხარეებს.

საგარჯიშო №2
Diagram of a circle with axes labeled with letters: ა (up), ბ (down), გ (left), დ (right), აბ (diagonal up-right), ბა (diagonal up-left), ად (diagonal down-right), ბდ (diagonal down-left).

- მოსწავლეებს ვთხოვ, დააკვირდნენ სქემას და უპასუხონ კითხვას:
ჰორიზონტის რომელ მხარეს მდებარეობს ქალაქი?
აღმოსავლეთით;
დასავლეთით;
ჩრდილოეთით;
სამხრეთით.
ამის შემდეგ მოსწავლეებს ვაცნობ ჰორიზონტის შუალედურ მხარეებს:
ჩრდილო-დასავლეთით;
ჩრდილო-აღმოსავლეთით;
სამხრეთ-დასავლეთით;
სამხრეთ-აღმოსავლეთით.

კომენტარი: ეს სქემები ეხმარებათ, გადაჭრან პრობლემა და მეორე სქემიდან მიღებული ცოდნის გამოყენებით უპასუხონ დასმულ შეკითხვას.

სავარჯიშო №3



გადაადგილი ა-დან ბ-მდე, ბ-დან გ-ზე გააგრძელე ხაზის მიმართულებით. სად მიგიყვანა ამ გზამ?

გადაადგილი ა-დან ბ-მდე, ბ-დან გ-ზე გააგრძელე ჩამომართულებით. სად მიგიყვანა ამ გზამ?

გადაადგილი ა-დან ბ-მდე, ბ-დან გ-ზე გააგრძელე სლ-მიმართულებით სად მიგიყვანა გზამ?

გადაადგილი ა-დან ბ-მდე, ბ-დან გ-ზე გააგრძელე ჩლ-მიმართულებით. სად მიგიყვანა გზამ?

**კომენტარი:**  
ესეც ალქმითი ხასიათის სავარჯიშოა, რომელიც ეხმარება მოსწავლეს სხვაგვარ/გართულეულ კონსტექსტში ალიქვას ის სქემა, რომელზეც შუალედური ჰორიზონტის მხარეებია მოცემული და იმ სქემიდან მიღებული ცოდნის გამოყენებით უპასუხოთ კითხვებს.

სავარჯიშო №4



ჰორიზონტის მთავარი და შუალედური მხარეების გამოყენებით დაასახელეთ საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნები.

**კომენტარი:**

ესეც ალქმითი ხასიათის სავარჯიშოა, რომელიც ეხმარება მოსწავლეს ჰორიზონტის მხარეების ცოდნა რუკაზე მუშაობისას გამოიყენოს.

სავარჯიშო №5

დაასრულე საქართველოს ისტორიული მხარეების რუკა, შემდეგი ინსტრუქციის გამოყენებით:

- ქართლის აღმოსავლეთით მდებარეობს კახეთი;
- ქართლის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს რაჭა-ლეჩხუმი;
- რაჭა-ლეჩხუმის სამხრეთით მდებარეობს იმერეთი;
- იმერეთის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს გურია;
- გურიის სამხრეთით მდებარეობს აჭარა;
- იმერეთის დასავლეთით მდებარეობს სამეგრელო;
- სამეგრელოს ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს აფხაზეთი;
- აფხაზეთის აღმოსავლეთით მდებარეობს სვანეთი;
- აჭარის აღმოსავლეთით მდებარეობს მესხეთ-ჯავახეთი.



**კომენტარი:**

ამ სავარჯიშოს შესრულების შედეგად მოსწავლე ქმნის/დაასრულებს საქართველოს რეგიონულ რუკას. ეს შექმნაზე ორიენტირებული სავარჯიშოა, რომელიც ეხმარება მოსწავლეს რუკის და ჰორიზონტის მხარეების ცოდნის გამოყენებით შექმნას ახალი სასწავლო რესურსი.

ზემოთ მოცემული სავარჯიშოების თანმიმდევრობა ბლუმის ტაქსონომიის მიხედვითაა დაგეგმილი. იმისათვის, რომ მოსწავლემ მიღებული ცოდნა რეალურად გამოიყენოს საჭიროა საკითხის არსის კარგად გაგება. ამისთვის კი შედეგად უნდა იქნას და იმავდროულად მრავალფეროვანი სავარჯიშოების გამოყენება.

აზროვნების განვითარებისათვის კი უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ალქმითი ხასიათის სავარჯიშოებიდან მოსწავლე გადავიყვანოთ შექმნა-წარმოებაზე მიმართულ სავარჯიშოებზე ისე, რომ გავითვალისწინოთ ბლუმის ტაქსონომია. ასეთი მიდგომა ზრდის მოსწავლეებში კომპეტენტურობის შეგრძნებას, რაც მათი მოტივაციის სერიოზული საფუძველი ხდება.

აქვე გთავაზობთ სქემას, რომელშიც მოცემულია ზმნები/მოქმედებები, რომლებიც დაჯგუფებულია შესაბამისად.

ალქმითი ხასიათის სავარჯიშოები	შექმნა-წარმოებაზე მიმართული სავარჯიშოები
ამოიციანი, დააჯიუფე, იმოუქ, დააკეშირე, დაახახულე, შეადარე, გადაახარისხე და სხვ.	შექმელე, გადააკეთე, შეადგინე, დაასრულე, ამოხსენი, აწარმოე და სხვ.

ნანა ბაზისონი

სკოლა „ციცკის“ ბუნებისმცოდნეობის პედაგოგი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სასკოლო ცენტრი

ინფორმაცია

აფხაზეთის №1 საჯარო სკოლის ჰუმანიტარული აქცია

აფხაზეთის №1 საჯარო სკოლის თვითმმართველობის (თეონა შერვაშიძის) და ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის (გამგე - ნანა დარასელია) ორგანიზატორებით, ჰუმანიტარული აქცია ჩატარდა - სენაკში მოინახულეს უნარშეზღუდული ბავშვები.

სკოლამ საკუთარი სახსრებით მოახერხა ტანსაცმლის, სათამაშოების, ნუგბარის, პროდუქტების თანხის შეგროვება და სტუმრად ჩასვლა სენაკში ბავშვებთან, სადაც ლონისძიებაც გაიმართა. აფხაზეთის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა იმღერეს, იცეკვეს, წაიკითხეს ლექსები და გაახალისეს ბავშვები. ამ მცირეოდენი ყურადღებით სტუმრებმა მასპინძლებს მიულოცეს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე - 1 ივნისი.

ყველაზე სევდიანი მაინც განმორება იყო, რომელსაც თან ცრემლი და ემოციები ახლდა; სევდა იმისა, რომ ტოვებდნენ და ემშვიდობებოდნენ. ბავშვების თვალში სევდანარევი სიხარული იგრძნობოდა; სიხარული იმისა,



რომ გაიხსენეს, მოინახულეს, ერთი ბედნიერი დღე აჩუქეს მათ.

აფხაზეთის №1 საჯარო სკოლა მომავალში კიდევ ჩატარებს მსგავს საქველმოქმედო ღონისძიებებსა თუ აქციებს და ამით, ცხადია, გაახარებს ბავშვებს.

ასამთ შაშვშია

**P.S.** თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში მოსწავლეთა 63-ე სასწავლო შემოქმედებითი კონფერენცია გაიმართა. აფხაზეთის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეები პირველი ხარისხის დიპლომებით დაჯილდოვდნენ:

სელოვნებათმცოდნეობის სექციაში

თემა: „გზა, რომელიც ტაძრამდე მიდის“, ფილმ „მონანიების“ მიხედვით - XI კლასის მოსწავლეები: თათია გითოლენდია და თეონა შერვაშიძე; თეიმის ხელმძღვანელი - პედაგოგი ნანა დარასელია.

შემოქმედებითი სექციაში

თემა: „ვიცინით ერთად“ - ჩანახატი, IX კლასის მოსწავლე - ხატია ძანძავა; თეიმის ხელმძღვანელი - პედაგოგი ნანა დარასელია.







გამომცემლობა „კლიო“

## საუკეთესო სასკოლო სახელმძღვანელოები 2009/2010 წლისთვის უცხოურ ენებში

### ინგლისური ენა



დამწყებითი სკოლისთვის, სწავლების I და II წლები (III-IV კლასები), "Setting Out" (BOOK 1- მე-3 კლასი და BOOK 2 დონე დ-2) ავტორებია: ტატიანა ბუკია, ბარი უოტსონი



V-VI კლასებისთვის, სწავლების I და II წლები - "2000 Plus". ავტორები: ტატიანა ბუკია და ირინა ჩიბურდანიძე (კონსულტანტი ბარი უოტსონი)



X (დონე ს-5), XI, XII კლასები, სწავლების VI-VIII წლები, "New Wave". ავტორებია: ლია გოქსაძე და თამარ ფალავა (კონსულტანტი ბრიტანეთის საბჭო)



VII (დონე ს-2), VIII, IX კლასები, სწავლების III-V წლები, "New 2000 Plus". ავტორები: ტატიანა ბუკია და ირინა ჩიბურდანიძე (კონსულტანტი ბარი უოტსონი)

საბავშვო/საბავშვო სკოლის დამწყებითთვის, როგორც II/III უცხო ენა. დონე ს-1 - "Get Going!" ავტორები: ტატიანა ბუკია და პატრიცია პოლი



### რუსული ენა



"Мостик в Россию" რუსული ენა დამწყებითთვის (მე-3 კლასი და დ-2). ავტორები: შარინა მარსეგოვა და სვეტლანა პოლდაკოვა.



"Мост в Россию" დონე ს-2 (მე-7), მე-8, მე-9, მე-10 და მე-11 კლასები ავტორია: სვეტლანა პოლდაკოვა

### გერმანული ენა



"Natürlich Deutsch" დონეები: ს-2, ს-3, ს-4, ს-5 (მე-9, მე-10, მე-11 და მე-12 კლასები). ავტორები: ლიანა ვადალიონია და თეა ჯამიაშვილი. რედაქტორია: მარგრეტ ვეგმანი

### ფრანგული ენა



"Bonne Chance" - დონე ს-2 ავტორები: ელენე კილაძე, იზა ჯინჯიხაძე, რედაქტორია: ვან ბატოუ.

"Bonne Chance" - მე-11 კლასისთვის, ავტორები: ელენე კილაძე, ნადეჟ პეშე, ტომა რომერ

### სად შეიძლება ყილვა

- თბილისი, ვაგ ზღის მოედანი 2, მინისტრების საერთო ცენტრი "ოქროს ბორცვ", ნიგნის მაღაზია "თბილისელები". ☎ 899 27 66 99, 899 79 49 39
- თბილისი, (გადასასვლელ ხიდთან) ცოტნე დადიანის 43, სასკოლო სახელმძღვანელოების მაღაზია, შპს "პრიმავერა ჯორჯია". ☎ (832) 96 62 38, 899 17 63 07

შენიშვნა: სკოლებში დარიცხულ ბუკეტებში და ჩვენი გამოცემლობის ვებგვერდზე [bukia21st.ge](http://bukia21st.ge) განთავსებულია მისამართები მთელი საქართველოს მასშტაბით, სადაც შეუძლებათ წიგნების შეტანა შედარებით შეღავათიან ფასებში.

დაგვიკავშირდით - გაგიჩვენოთ კონსულტაციას დაწერეთ წერილები ჩვენს ვებ-გვერდზე, დაგვისვით შეკითხვები. სახელმძღვანელოს ავტორი გიპასუხებთ.

ვებ გვერდი: [bukia21st.ge](http://bukia21st.ge)  
ელ. ფოსტა: [tatbukia@yahoo.co.uk](mailto:tatbukia@yahoo.co.uk)  
ცხელი ხაზი. ტელეფონები:  
(8 32) 103-205; მობ. 877.74.21.46  
დარეკეთ 9 დან 18 საათამდე.

100 ლარის ზევით ერთჯერადი შეყიდვას გათვალისწინებულია 10%-იანი შეღავათი




# ახალი სახელმძღვანელოები 2009-2010 სასწავლო წლისათვის

## გამომცემლობა „კლიო“

### ხელოვნება. I, II, III, IV, V, VI, VII, VIII, IX, X კლასი

ა. კლდიაშვილი, ნ. დაბანიძე, თ. ჯაყელი, ა. პარისთავი



### მშობლიური ენა და ლიტერატურა. V, VI კლასი

ა. არაბული, ს. მონიაძე, ა. უთურბანიძე



### ბიოლოგია. VII, VIII კლასი

დ. ლორთქიფანიძე, ა. სხენიაშვილი



### გეოგრაფია. VI, VII კლასი

ზ. ტატაშვილი, ზ. სეფარიძე, ზ. ლაოშვილი, ლ. კვიციანიძე



### სკოლებსათვის — მნიშვნელოვანი ფასდაკლება 10-15%-ით



გამომცემლობა „კლიო“  
აღმაშენებლის გამზ. №191, თბილისი, საქართველო; ტელ.: (+995 32) 34 84 23; 899 50 33 76.  
სადისტრიბუციო სამსახური: (+995 32) 30 66 05; 899 73 02 01.  
E-mail: [lika2medz@yahoo.com](mailto:lika2medz@yahoo.com)



# ერთი დღე სკოლის ცხოვრებაში

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნასაკირალის საჯარო სკოლის IV-კლასელთათვის ჩატარდა შემაჯამებელი გაკვეთილი ბუნებისმცოდნეობაში, თემაზე: „აფხაზეთი – სევდა და ტკივილი ჩვენი“.

საკლასო ოთახის კედელზე ჩვენი სკოლის იმ კურსდამთავრებულების სურათები ეკიდა, რომლებმაც სამშობლოს ერთიანობისთვის გასწირეს თავი. გაკვეთილს ესწრებოდნენ: სკოლის დირექტორი მარინა ვასაძე, დირექტორის მოადგილე თინა შაიშვილი, სასწავლო ნაწილის გამგე აგრანდინა კერჯონიანი, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე ახმედ ზოიძე, აფხაზეთიდან ლტოლვილი პედაგოგი ეკატერინე კოპალიანი, დალუპულთა დედები: ვსლეთა ავაზიანი, მარგო მახარაძე, გალია თალაკვაძე, ნინო რამიშვილი, პედაგოგები და მოსწავლეები.

დაიწყო გაკვეთილი. მოსწავლეებმა ჯგუფებში მოითათბირეს და პრეზენტატორებმა წარმოადგინეს ინფორმაცია აფხაზეთის შესახებ. ისაუბრეს მის ლამაზ ბუნებაზე, ცად აზიდულ მთებზე, იდუმალ ზღვაზე. გაიხსენეს აფხაზეთში გმირულად დაღუპულები: ტარიელ მახარაძე, არტურ აივაზიანი, თამაზ რამიშვილი, ედიკ თავაძე, დიტო თალაკვაძე და უამრავი სხვა, რომლებიც „ჭაბუკები დარჩნენ მარად“.



გაკვეთილში საგნის მასწავლებელი ლალი თავაძე ჩაერთო, რომელმაც აღნიშნა: „თქვენ ხომ უკვდავებას ეზიარეთ, ბევრჯერ გადაურჩით სიკვდილს, ფიქრობდით, სამშობლოს დაიცავთ და გამარჯვებულები დაევბრუნდებით მშობლიურ სოფელსო, მაგრამ აფხაზი სეპარატისტების ტყვიამ მოგისწროთ და მსხვერპლად შექნირეთ საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლას.“

სკოლის დირექტორმა, მარინა ვასაძემ სევდითა და გულსიტკივლით გაიხსენა ყოფილი მოსწავლეე-

ბი. მათ ბავშვობასა და სიყმაწვილეზე ისაუბრეს მასწავლებლებმა: ლილი ორაგველიძემ, თინა შაიშვილმა და თანაკლასელმა თამილა ვაჩიშვილმა.

გაკვეთილის ბოლოს საკლასო ოთახში საქართველოს დროშა აფრიალდა, დაიღვარა მუსიკის ჰანგები – „გამარჯობა აფხაზეთო შენი...“, ლოცვასავით გაისმა მოსწავლეთა სიტყვები – „გვახსოვდეს აფხაზეთი“.

იმდღევანდელმა გაკვეთილმა სწავლებისადმი ახალი მიდგომის



სიკეთე კიდევ ერთხელ დაგვანახა. მოსწავლეები ავლენდნენ მასალის ცოდნას, თავისუფალი მსჯელობისა და კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევებს, გამოთქვამდნენ საკუთარ აზრს, რაც საგნის მასწავლებლის, დაწყებითი კლასების სასწავლო ნაწილის გამგის, ლალი თავაძის დამსახურებაა.

იმედი გვაქვს, რომ ის მოსწავლეები, რომლებიც სტუმრებს გულანთებულები უყვებოდნენ აფხაზეთის შესახებ, ყველაფერს გააკეთებენ სამშობლოს უკეთესი მომავ-

ლისთვის, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის და ერთ დღესაც, კვლავ ერთად ვიქნებით ქართველი და აფხაზნი.

მჯერა, ეს პატრიოტული მუხტი ამ ბავშვებში არასოდეს განელდება. როგორც გაკვეთილის მონაწილეთა, ასევე სტუმრებს ეს დღე დიდხანს გვემახსოვრება.

**თინა შაიშვილი-დვალისი**

დაბა ნასაკირალის საჯარო სკოლის დირექტორის პირველი მოადგილე



## მე ისევ იქ ვარ

დრო სწრაფად გადის, ტკივილი კი არ ნელდება. ცხადში თუ სიზმარში ისევ იქ ვარ – ჩემს სოფელში, ჩემს ეზო-კარში, ისევ უზრუნველი და ბედნიერი... რეალობა კი სულ სხვაგვარია. შეუძლებელია სიტყვით გადმოვცე ის ტკივილი, რასაც განვიცდი და ვგრძნობ ჩემს სოფელზე ფიქრისას.

აწევნი ჩემთვის ყველაფერი. იქ კენჭებსაც კი ახსოვთ ჩემი და ჩემი ძმის პირველი ნაბიჯები, ჩვენი პირველი სიტყვები, პირველი ოცნებები. იქ დარჩა და თავისკენ შენევა ჩემი მხიარული უბანი, ულამაზესი ბუნება, ჩვენი ფრონე და ბიძის საფლავი. სადაც არ უნდა ვიცხოვრო, ყველგან ყოველთვის აწევნელი ვიქნები. ნელს სოფლის დღეობა „გორაობა“ ხაშურში აღვნიშნეთ. ომმა სხვადასხვა მხარეს გაგვფანტა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ყოველი ჩვენგანი შეეცდება შეინარჩუნოს აწევთან დაკავშირებული ყველა ტრადიცია, ყველა ნესი და ჩვეულება და არ დაკარგოს სულიერი კავშირი მშობელ მინასთან.

რამდენი რამ მაქვს სათქმელი – სიტყვები კი არ მყოფნის. ერთი წუთიც არ არის ჩემს სოფელზე არ ვიფიქრო. ყველა და ყველაფერი შენატრება. არადა ჭირს ახლობლების ნახვა. ჩვენ ომმა დაგვაშორა, მაგრამ იმედი ვერ მოგვიკლა, იმედი დაბრუნებისა, იმედი შეხვედრისა.

სითბო და სიყვარული არ მოუკლიათ ჩემთვის ხანდაკე. ყველა ცდილობს, თავისი წილი თანაგრძნობა მიზიაროს და დარდი გამოქარწყლოს. მადლობა მათ ამისათვის, მადლობა ინგა მასწავლებელს, რომ მომეცა საშუალება გაზეთის მეშვეობით გამოემხატა ჩემი ტკივილი, მონატრება და სიყვარული.

ჩემი მშობლიური სოფელი აწენვი მდებარეობს სამაჩაბლოში, ფრონეს ხეობაში. სოფელს მძიმე წარსული აქვს. გადმოცემით ვიცით, რომ აქ ყოფილა სოფელი, რომელიც სპარსელებს დაურბევიათ, ხალხი დაუხოცავთ, ქალები და ბავშვები გაუტაციათ. ერთ გამწარებულ დედას დაუძახია შვილისათვის „აწენვი რამეო“ და აქედან წარმოიშვა სოფლის სახელი.

ერთ დღეს ჩემი მამიდაშვილის დაბადების დღე უნდა აღველიშინა, წვიმა წამოვიდა, ქუხდა. პოლიციელებმა დაიძახეს – ბავშვები სოფელს გააცილებით. ნავედით... ვხედავდი, როგორ იწვოდა სახლები, ჩემი სკოლა... ამის შემდეგ ჩემი სოფელი აღარ მინახავს.

მოხუცები და ჩემი ახლობლები იქ დარჩნენ. მათი დარდი გვქონდა და ტელევიზორს შევცქეროდით, იქნებ რამე გაგვეგო. ოსებმა და

რუსებმა გადაწვეს სახლები, ჭალეები, დახოცეს ხალხი. შეშინებულმა მოსახლეობამ მიატოვა ხეობა და ღვთისანაბრად დარჩა. მაგრამ გვენამს, რომ მოვა დრო და დავბრუნდებით მშობლიურ მიწა-წყალზე, ისევ ერთად შევიკრიბებით, ერთად ვიმღერებთ და ვიცეკვებთ „ფრონეს“ მომღერალთა ანსამბლში, „ფრონეს“ ფეხბურთის გუნდის წევრები შევეჯიბრებით სამაჩაბლოს ხეობის გუნდებს. ისევ გავმრავლდებით, გავძლიერდებით და გაძლიერდება ქართული ჯიში სამაჩაბლოს მიწაზე.

მენატრება ჩემი სახლი ჩემი ეზო-ჭიშკარი. სილაურის მონატრებით მტკივა გულის ფიცარი. ვერ წავგარემოვთ, რაც ჩვენი თქვენ არა გაქვთ ამის ძალა. ღმერთო, ცხადში დამანახვე აწენვი და ნულის ჭალა.

ამ სოფელში ჩემი ბებიია, პაპა, დეიდა და სხვა ახლობლები ცხოვრობდნენ. მენატრება იქაურობა, მენატრებიან ჩემი ოსი ნათესავები, რომლებთანაც ომმა დაგვაშორა. როგორ ტკბილად მახსენდება იქ გატარებული დრო – პაპას ვეხმარებოდი, ტოლ ამხანაგებთან ვერთობოდი, ფეხბურთს ვეთამაშებოდი ხეობის გუნდებს. ხშირად იმართებოდა ხოლმე დისკოთეკები. ბიძა ისედაც არ გვაკლებდა გართობას, ხშირად დაგვყავდით ცხინვალში ნათესავებთან, ყველა სურვილს გვისრულებდა. ჩვენს სოფელში შემორჩენილი იყო ძველი ადათ-წესები – თავგობა, ჭიაკოკონობა, ჭონაობა.

მათი ცხოვრება შეიცვალა. წეროვანში ჩაასახლეს. პაპამ იქაც გააშენა პატარა ბოსტანი, დარგო ხეხილი, ყვავილნარიც გავაშენეთ. იქაც, თითქოს, ძველებურად, ცხ-

ვრობენ, პაპა და ბაბო გულუხვად გვიმასპინძლდებიან. ცდილობენ თავი მოგვაჩვენონ, რომ არ დარდობენ, მაგრამ შეიძლება? 47 წლის ნაშენები ოჯახი მიატოვეს, შვილის საფლავი დატოვეს, უახლოესი ნათესავები ცხინვალში დარჩნენ... რაღა მათი სიცოცხლე? მაგრამ ამბობენ, თავებს უნდა გაუფრთხილდეთ, რომ ჩვენი ძვლები ჩვენს მინას მივაბაროთ.

ჩვენც მხარში ამოვუდგებით, ავაშენებთ ჩვენი ოჯახის საძირკველზე ახალ სახლს და გალამაზდება ისევ ჩვენი დედუღეთი, ისევ ავალთ ძიას საფლავზე და ცრემლებს დავყარით, ნითელ კვერცხებს გაუფრთხილდით და ვეტყვით – ქრისტე აღსდგა!

**დარიჟან კაპანაძე, ზურა ამირეზაშვილი**  
ზემო ხანდაკის საჯარო სკოლა

**მარიამ საკაბლიშვილი**  
XI კლასი, ზემო ხანდაკის საჯარო სკოლა

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

# ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა 10 წლისაა!

სახელმძღვანელოების შექმნის ათწლიანი ტრადიცია, საუკეთესო სერვისი, საუკეთესო ხარისხი, დაბალი ფასები და ფასდაკლებები, წამახალისებელი კონკურსები

აირჩიეთ ჩვენი გრიფირებული სახელმძღვანელოები და ისარგებლეთ უპრეცედენტო შემოთავაზებებით 2009-2010 სასწავლო წლისათვის:

- ადგილზე მიტანის სერვისი რეგიონების სკოლებისთვის – ჩვენი სახელმძღვანელოების არჩევისა და შეკვეთის შემთხვევაში წიგნებს მიიღებთ სახალხო ბანკის უახლოეს ფილიალში;
- 10%-იანი ფასდაკლება – გამომცემლობის ოფისში სახალხო ბანკის პლასტიკური ბარათით სარგებლობისას მიიღებთ 10%-იან ფასდაკლებას ყოველ 100 ლარზე, 3% კი საჩუქრად დაგიბრუნდებათ ბარათზე ბონუსის სახით;
- კონკურსი „წლის საუკეთესო მასწავლებელი“ – სასწავლო წლის ბოლოს გამოგზავნეთ გამომცემლობაში 3 სხვადასხვა შესაძლებლობების მქონე მოსწავლის რვეული ნებისმიერ საგანში და გახდით წლის საუკეთესო მასწავლებელი და მიიღე ფულადი პრემია.
- ბაკურ სულაკაურის გამომცემლობისა და ჯეოსელის ერთობლივი აქცია – ჩაერთეთ „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობისა“ და „ჯეოსელის“ ერთობლივ აქციაში, მიიღეთ 10%-იანი ფასდაკლება სახელმძღვანელოებზე და მოხდით „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობისა“ და „ჯეოსელის“ 10 რჩულ სკოლას შორის.
- ერთიანი უპროცენტო განვადება სასკოლო სახელმძღვანელოებზე;
- გრანდიოზული ფასდაკლება სასკოლო ბიბლიოთეკებს – 1000 ლარის არასასკოლო წიგნების შეძენისას საჩუქრად გადმოგეცემათ 500 ლარის წიგნები;
- ყველა პედაგოგს, ვინც ასწავლის ჩვენი სახელმძღვანელოებით, მასწავლებლისა და მოსწავლის წიგნები მომართვის საფუძველზე გადაეცემა საჩუქრად.

სახელმძღვანელოები



იაკობ გოგებაშვილი (განახლებული გამოცემა) 6.90



ბ. სულაკაური მ. ბედომეილი თ. კუხიანიძე 6.90



გ. ბერიშვილი ი. კოტეტიშვილი ბ. სულაკაური 6.90



გ. კვანტალიანი 6.90



ნ. ზუნდაძე ე. ფოცხიშვილი 5.90



თ. ქიტოშვილი ი. ლობჯანიძე 5.90



ნ. გორდეღაძე თ. კუხიანიძე 8.90



გ. ბერიშვილი ს. ზაფიშია 6.90



გ. კვანტალიანი მ. ბლიაძე რ. აბულედიანი 8.90



თ. მოსმელდელიშვილი ა. ბოჭორიშვილი 6.90



დ. კერესელიძე გ. ქანტურია მ. ბლიაძე 7.90



ბ. სულაკაური თ. ქიტოშვილი 9.90



გ. ბერიშვილი ბ. სულაკაური ი. კოტეტიშვილი 5.90



ნ. ასათიანი ნ. კვიციანიშვილი ქ. ჯანუაშვილი 7.90



მ. ბლიაძე, გ. ქანტურია ნ. კვიციანიშვილი ქ. ჯანუაშვილი 4.90



ნ. მუზაშვილი ნ. ჩუბინიძე 10.90



ნ. ნაფეტვარიძე მ. ნებიერიძე თ. ქიტოშვილი 9.90



მ. ნილოსანი ნ. ნულაია ნ. ჯაფარიძე 9.90



ნ. კილურაძე ლ. ფირცხალავა ც. წიკვაძე 5.90



თ. ბრეგვაძე ი. პეტრიაშვილი 6.90

თბილისი, დავით აღმაშენებლის 150, ტელ: 910 954; 911 165, ელფოსტა: info@sulakauri.ge



მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტაბატაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.  
 www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com, ganatleba@mail.ru  
 რეგისტრაციის № 2/4-1609, ინფორმაცია ხელმოწერისთვის: 76096  
 გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.  
 რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის რეკვიზიტები:  
 საქართველოს ბანკი  
 ბ/კ 220101502,  
 ს/კ 202058735,  
 ა/ა 123631000